

I

როგორც ცნობილია, ერთი იმგვარად ანცობილი ავტომატი არსებულა, რომელიც მოჭადრაკის თითოეულ სვლას ისეთ საპასუხო სვლას ახვედრებდა, რომ პარტიის მოგებას უნაღებდა. ფართო მაგიდაზე დასვენებული დაფის წინ თოჯინა იჯდა, თურქულ სამოსში, პირში ნარგილეთი. სარკეთა სისტემა ილუზიას იწვევდა, თითქოს ეს მაგიდა ყოველი მხრიდან გამჭვირვალე ყოფილიყო. სინამდვილეში კი, შიგნით კუზიანი ჯუჯა იჯდა, რომელიც ჭადრაკის ოსტატი იყო და თოჯინის ხელს ძაფებით მართავდა. ამ დანადგარის შესატყვისი ფილოსოფიაშიც შეგვიძლია წარმოვიდგინოთ. მოგება ყოველთვის იმ თოჯინას ერგება, „ისტორიულ მატერიალიზმს“ რომ უწოდებენ. ის დაუბრკოლებლად გაუმკლავდება ნებისმიერს, თუკი თეოლოგიას ჩაიყენებს სამსახურში, რომელიც დღეს, მოგვეხსენება, პატარა და მახინჯია და ისედაც თავი არ გამოეყოფა.

Walter Benjamin, «Über den Begriff der Geschichte». ტექსტი დაიწერა 1939-40 წლებში და პირველად გამოიცა 1942 წელს. წინამდებარე თარგმანი შესრულებულია ტექსტის გამოცემათა შეჯერებული ვერსიის მიხედვით.

II

ლოცეს¹ თანახმად, „ადამიანის სულის ყველაზე ღირსშესანიშნავ თავისებურებებს, გარდა ცალკეულ შემთხვევებში ეგზომ ძლიერი თავკერძობისა, განეკუთვნება ნებისმიერი ანმყოს ზოგადი უშურველობაც საკუთარი მომავლის მიმართ“. ეს რეფლექსია გულისხმობს, რომ ბედნიერების ჩვენ მიერ ნასაზრდოები ხატება ერთთავად შეფერილია იმ დროით, რომელშიც, ასეა თუ ისე, ჩვენივე არსებობის მდინარებას გავუმნესებივართ. ისეთი ბედნიერება, ჩვენში შურის აღძვრა რომ შეეძლოს, მხოლოდ ჩვენ მიერ ნასუნთქ ჰაერშია, იმ ადამიანებთან, რომელთაც დაველაპარაკებოდით, ქალებთან, რომლებიც დაგვნებდებოდნენ. სხვა სიტყვებით, ბედნიერების შესახებ წარმოდგენას განუყრელად ახლავს თან წარმოდგენა ხსნის შესახებ. მსგავსი რამ ხდება წარსულზე წარმოდგენის შემთხვევაშიც, რომელიც თავის საგნად ისტორიას აქცევს. წარსული თან დაატარებს ერთგვარ ფარულ მანიშნებელს (Index), რომელიც წარსულს ხსნისკენ მიუთითებს. განა ჩვენც არ გაგვკრავს იმ ჰაერის მონაბერი, ადრინდელთ რომ ეხვეოდა? განა იმ ხმებში, რომელთაც ყურს ვაპყრობთ, ან დადუმებულ ხმათა ექო არ ისმის? განა იმ ქალებს, რომელთაც დავტრფიალებთ, დები არა ჰყავთ, რომელთა გაცნობაც მათ ვეღარ მოასწრეს? თუ მართლაც ასეა, მაშინ იდუმალი შეთანხმება არსებობს წარსულ მოდგმათა და ჩვენსას შორის. მაშინ ამ მინა-წყალზე ჩვენი მოლოდინი ჰქონიათ. მაშინ ყველა ჩვე-

¹ ჰერმან ლოცე (1817-1881), გერმანელი ფილოსოფოსი. ბენიამინი ციტირებს მესამე ტომიდან ლოცეს ნაშრომისა *მიკროკოსმოსი. იდეები ბუნების ისტორიისა და კაცობრიობის ისტორიისათვის. ცდა ანთროპოლოგიაში* (1864) (მთარგმნელის კომენტარი. ბენიამინის ტექსტის ყველა შენიშვნა ეკუთვნის მთარგმნელს).

ნამდებ არსებულ მოდგმასავით, ჩვენთვისაც გამოუყოლებიათ სუსტი მესიანური ძალა, რომელზეც წარსული აცხადებს უფლებას. ეს მოთხოვნა ასე იოლად ვერ ჩაიფარცხება. ისტორიულ მატერიალისტს ეს კარგად მოეხსენება.

III

მემატიანე, რომელიც ისე ჩამოთვლის მოვლენებს, რომ დიდ და პატარა მოვლენებს შორის არ განარჩევს, ამით ანგარიშს უწევს ჭეშმარიტებას, რომ არაფერი, რაც კი ოდესმე მომხდარა, არ უნდა მიიჩნეს ისტორიისათვის დასაკარგად. თუმცა, საკუთარი წარსული სრულად მხოლოდ დახსნილ კაცობრიობას ერგება. რაც შემიძევს ნიშნავს: მხოლოდ დახსნილი კაცობრიობისათვის ხდება საკუთარი წარსულის ნებისმიერი მომენტი ციტირებადი. მისი თითოეული განვლილი მეცი² ხდება citation à l'ordre du jour³ – დღე, რომელიც სწორედ ბოლო ჟამისაა.

² „მეცი-ი (მეცისა) ძვ. დროის მეტად მცირე მონაკვეთი – წამზე უფრო მცირე, / არდის მესამოცედი, საათის 1/46656000000 (საბა)“, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტომი V, 1958, გვ. 220. იმისათვის, რათა გერმანულ ორიგინალში მოცემული Augenblick ცნებობრივად განირჩეს როგორც „წამისგან“ (Sekunde), ისე „მომენტისგან“ (Moment), მივმართავთ ამ ძვ. ქართულ სიტყვას, რომლიდანაც წარმოდგება „მცის“, „მეცსეული“. Augenblick სიტყვასიტყვით ნიშნავს „თვალის დახამხამებას“.

³ Citation à l'ordre du jour (ფრ.) – დღის წესრიგში მოხმობა, დამოწმება. კერძოდ, ნიშნავს ჯარისკაცის ხსენებას საომარი დღის წესრიგში გამოჩენილი სიმამაცისათვის.

IV

ჯერ საკვებსა და სამოსზე იზრუნეთ, და
ღვთის საუფლოც თავისით გეზოდებათ.

ჰეგელი, 1807

კლასობრივი ბრძოლა, რომელიც ყოველ წუთას უდგას თვალ-
წინ მარქსით განაფულ ისტორიკოსს, არის ბრძოლა უხეში და
მატერიალური საგნებისათვის, რომელთა გარეშეც არ არსე-
ბობს ნატიფი და სულიერი საგნები. და მაინც, ეს უკანასკ-
ნელნი კლასობრივ ბრძოლაში სხვაგვარად მოგვეცემიან,
ვიდრე წარმოდგენა ნადავლზე, რომელიც გამარჯვებულთ
ხვდათ წილად. ამ ბრძოლაში მათ სასოების, გამბედაობის,
იუმორის, ცბიერების, შეუდრეკელობის სახით უდგათ სული
და დროთა სიშორისაკენ უკუქმედებენ. ისინი მუდამ ხელახლა
ეჭვქვეშ დააყენებენ თითოეულ გამარჯვებას, რომელიც კი
გაბატონებულთ ოდესმე რგებიათ. როგორც რომ ყვავილები
მიუშვებენ მზეს კისერს, რაღაც იდუმალი სახის ჰელიოტრო-
პიზმის მეოხებით, ისევე ისწრაფვის ნამყო, რომ იმ მზისაკენ
მიიქცეს, რომელიც ისტორიის ცაზე ამოდის. ყოველგვარ
ცვლილებას შორის ამ ყველაზე ნაკლებ თვალსაჩინოს უნდა
აუღოს ალღო ისტორიულმა მატერიალისტმა.

V

წარსულის ჭეშმარიტი ხატი წამით გაკრთება. წარსულს მხო-
ლოდ როგორც ისეთ ხატს თუ შევინარჩუნებთ, რომელსაც ეს-
ეს არის უკანმოუხედავად გაუელვებია თავისი შეცნობადო-
ბის მეყში. „ჭეშმარიტება ვერსად გაგვექცევა“ – ეს სიტყვები,
რომლებიც გოტფრიდ კელერს ეკუთვნის, ისტორიზმისთვის
დამახასიათებელ ისტორიის ხატში სწორედ იმ წერტილს აღ-
ნიშნავს, სადაც ამ ხატს ისტორიული მატერიალიზმი გაარ-

ღვევს. რამეთუ ის წარსულის უკანმოუბრუნებელი ხატია და გაქრობა ემუქრება ყოველი იმ ანმყოს კვალდაკვალ, რომელმაც მასში ნაგულისხმევად ვერ ამოიცნო თავი.

VI

გარდასულის ისტორიულად არტიკულირება არ ნიშნავს მის ისე შემეცნებას, თუ „როგორ მოხდა სინამდვილეში“. ის ნიშნავს, დავეუფლოთ რაიმე მოგონებას, როგორადაც იგი ხიფათის მეყში გაიღვებ. ისტორიული მატერიალიზმის მიზანია წარსულის ისეთი ხატი დაირჩინოს, როგორიც ისტორიულ სუბიექტს ხიფათის მეყში უნებლიეთ წარმოუდგება. ხიფათი ემუქრება როგორც ტრადიციის შინაარსს⁴, ისე მის მიმღებთ. ხიფათი ორივეს ერთსა და იმავეს უქადის: გაბატონებულ კლასს იარაღად ჩაუგდონ თავი ხელში. ყოველ ეპოქაში უნდა ვეცადოთ, გადმოცემა ხელახლა გამოვტაცოთ კონფორმიზმს, რომელიც სადაცაა მას დაიმორჩილებს. რამეთუ მესია მარტოდენ მხსნელად როდი მოგვევლინება; იგი მოვა როგორც ანტიქრისტეს დამჯაბნელი. მხოლოდ იმ ისტორიოგრაფს მოსავს ნიჭი, გარდასულის წიაღში იმედის ნაპერწკალი გააღვივოს, რომელიც თავადაა მისით გამსჭვალული: მკვდრებიც კი ვერ იქნებიან დაცულნი მტრისგან, როცა ის გაიმარჯვებს. ამ მტერს კი გამარჯვება ჯერაც არ შეუწყვეტია.

⁴ გერმანულ ორიგინალში ნახმარი Bestand გულისხმობს როგორც რამის შიგთავსსა თუ შინაარსს, ისე რამის განგრძობასა და შენარჩუნებას. ბენიამინისვე ფრანგულ თარგმანში Bestand der Tradition თარგმნილია როგორც les données de la tradition („ტრადიციის მოცემულობანი“).

VII

იფიქრეთ წყვილიადასა და დიდ სიცივეზე,
ამ დღეს გლოვით რომ აზანზარებს.

ბრეხტი, სამგროშიანი ოპერა

ფიუსტელ დე კულანჟი ისტორიკოსს ურჩევს, რომ, თუკი სწა-
დია, განცდაში გააცოცხლოს (*nacherleben*) რომელიმე ეპოქა,
მაშინ თავიდან ამოიგდოს ყოველივე, რაც კი ისტორიის მერ-
მინდელი მსვლელობის შესახებ იცის. უკეთესად ვერც კი და-
ვახასიათებდით იმ მიდგომას, რომელსაც ისტორიული მატე-
რიალიზმი გაემიჯნა. ეს შთაგრძნობის⁵ მიდგომაა. მისი წყარო
გულგრილობაა, *acedia*⁶, რომელიც ვერ ბედავს, დაეუფლოს
ჭეშმარიტ ისტორიულ ხატს, წამიერად რომ გაიელვებს. შუა
საუკუნეების თეოლოგებს იგი ურვის⁷ პირველსაფუძვლად
მიაჩნდათ. ფლობერი, რომელიც კარგად იცნობდა მას, წერს:
“*Peu de gens devineront combien il a fallu être triste pour ressus-*

⁵ *Einfühlung* (გერმ.), ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში აგრეთვე ითარგ-
მნება როგორც „ემპათია“, ქართულ ფილოსოფიურ ტერმინოლოგიაში
კი გადმოიცემა როგორც „შთაგრძნობა“. ბენიამინთან იგი აღნიშნავს
ისტორიზმის მიმდევრის პერსპექტივას, რომელიც სწორედაც რომ არ
უდრის „თანაგრძნობას“. „შთაგრძნობა“ გულისხმობს ტრადიციული
ისტორიკოსის გულგრილობას, რომლითაც იგი უყურებს წარსულის
მოვლენებს და რადგან მათდამი „განყენებულ“ მიდგომას იკავებს და
საერთოდ არ სვამს ისტორიული გადმოცემის, ისტორიის რეცეფციის,
კრიტიკის საკითხს, საბოლოო ჯამში გაბატონებულთა „მდგომარეო-
ბაში შედის“, მათ პერსპექტივას „ითავისებს“.

⁶ *Acedia* (ლათ.) – „გულგრილობა“, შვიდ მომაკვდინებელ ცოდვათა-
განი.

⁷ გერმანულ ორიგინალში მოცემულ სიტყვას *Traurigkeit* („მწუხარება“,
„წუხილი“, „ნალველი“), მონაკვეთის ქრისტიანული კონტექსტიდან
გამომდინარე, ყველაზე მეტად შეესაბამება ქართული ბიბლიური
„ურვა“. მაგ. „და წარიყვანა პეტრე და ორნი ძენი ზებედესნი და
ინყო მწუხარებად და ურვად“. (მათ. 26:37)

citer Carthage”.⁸ ამ ურვის ხასიათი უფრო გაცხადდება, როცა ვიკითხავთ, მაინც ვისში ახდენს ისტორიზმის ისტორიოგრაფი შთაგრძნობას. რასაკვირველია, პასუხია: გამარჯვებულებში. ხოლო, ნებისმიერ მოცემულ დროს გაბატონებულნი ყველა მათგანის მემკვიდრენი არიან, ვისაც კი ოდესმე გაუმარჯვია. მაშასადამე გამარჯვებულში შთაგრძნობა, ნებისმიერ შემთხვევაში, ამჟამად გაბატონებულთ ახეირებს. ისტორიული მატერიალისტიკისთვის უკვე ესეც საკმარისია. ვისაც კი დღევანდლამდე წილად ხვდომია გამარჯვება, იმ ტრიუმფალურ აღლუმშია ჩაბმული, რომელიც დღეს გაბატონებულთ იმათ თავზე გადაატარებს, ვინც დღეს ძირს აგდია. ტრიუმფალურ აღლუმში, როგორც ეს ყოველთვის წესი იყო, ნადავლსაც მოატარებენ. მას კულტურულ მემკვიდრეობად⁹ მოიხსენიებენ. ისტორიული მატერიალისტიკის სახით ის დისტანცირებულ დამკვირვებელს უნდა მოელოდოს. რამეთუ, რაც კი კულტურული მემკვიდრეობიდან თვალში მოხვდება, ისტორიული მატერიალისტიკისათვის თავიდან ბოლომდე ისეთი წარმოშობისაა, რასაც ძრწოლის გარეშე ვერაფრით გაიაზრებს. ეს ყოველივე თავის არსებობას მარტო მის შემოქმედდიად გენიოსთა გარჯას კი არ უმადლის, არამედ მათ თანამედროვეთა უსახელო ჭაპანსაც (Fron). ის არასოდესაა კულტურის დოკუმენტი, თან ბარბაროსობისაც რომ არ იყოს. და როგორც რომ თავად არაა ბარბაროსობისგან თავისუფალი, ასევე არაა იმ გადმოცემის პროცესიც, რომლის ფარგლებშიც

⁸ „ცოტა ადამიანი თუ მიხვდება, რაზომი ურვა იყო საჭირო კართაგენის გასაცოცხლებლად“. (ფრ.)

⁹ გერმანულში ნახმარი Kulturgut შეიძლება აღნიშნავდეს როგორც „კულტურის ძეგლსა“ თუ „საგანძურს“, ისე „კულტურულ მემკვიდრეობასაც“. ბენიამინისვე ფრანგულ თარგმანში მოცემული გვაქვს *héritage culturel*, რაც სიტყვასიტყვით ითარგმნება როგორც „კულტურული მემკვიდრეობა“.

ის ერთი გამარჯვებულიდან მეორის ხელში გადადიოდა. ამიტომ, ისტორიული მატერიალისტი მისგან შეძლებისდაგვარად შორს იჭერს თავს. მას თავის ამოცანად მიაჩნია, ისტორიაში დინების საწინააღმდეგოდ შეცუროს.¹⁰

VIII

ჩაგრულთა ტრადიცია გვასწავლის, რომ „საგანგებო მდგომარეობა“, რომელშიც ვცხოვრობთ, წესია. ამიტომაც, საჭიროა, მის შესატყვის ისტორიის ცნებას მივაკვლიოთ. მაშინ დაგვიდგება თვალწინ ამოცანად ნამდვილი საგანგებო მდგომარეობის მოწვევაც; და ამით ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში პოზიციებსაც გავიმაგრებთ. ფაშიზმს, სულ რომ არაფერი, იმიტომ უმართლებს, რომ მოწინააღმდეგენი მას წინსვლის სახელით ისტორიულ ნორმად განიხილავენ. – გაკვირვება იმის თაობაზე, რომ რისი მოწმენიც ვართ, მეოცე საუკუნეში „ჯერაც“ შესაძლებელია, არ არის ფილოსოფიური. იგი არ არის შემეცნების დასაწყისი, ანდა თუ არის, ისიც მხოლოდ იმის შემეცნების, რომ ვერაფრით გამართლდება ისტორიის შესახებ წარმოდგენა, რომლიდანაც ეს გაკვირვება მომდინარეობს.

¹⁰ გერმანულში ნახმარი გამოთქმა *gegen den Strich bürsten* ქართულში არ იცნობს ზუსტ შესატყვისს და შეიძლება გამოტანილ იქნას როგორც „დინების საწინააღმდეგოდ ცურვა“, რაც ამ შემთხვევაში გულისხმობს მატერიალისტი ისტორიკოსის მიერ გადმოცემის კრიტიკას; გამარჯვებულებში „შთამგრძობ“ ისტორიკოსთა კონფორმიზმის საწინააღმდეგო მიმართულებით სვლას გამარჯვებულთა მიერ დაწერილი ისტორიის წიაღში ჩაგრულთა ხმების გადასარჩენად.

IX

ფრთა ჩემი აფრენას მოელის
 უკან გამაბრუნა ნეტავ
 თუნდაც დრო დავჰყო ცხოველი
 ცოტა თუ მარგუნოს ბედმა.
გერშომ შოლემი, ანგელუსის სალამი

არსებობს კლევს ერთი სურათი, რომლის სახელია ანგელუს ნოვუსი. მასზე ანგელოზია გამოსახული, რომელიც ისე გამოიყურება, თითქოს ის-ისაა იმას შორდებოდეს, რასაც მისჩერებია. თვალები დაუჭყეტია, პირი დაუფჩენია და ფრთები გაუშლია. სწორედ ასე უნდა გამოიყურებოდეს ისტორიის ანგელოზი. პირისახე წარსულისაკენ მიუპყრია. სადაც ჩვენ მოვლენათა ჯაჭვი წარმოგვიდგება, ის ერთ უწყვეტ კატასტროფას ხედავს, რომელიც ნანგრევს ნანგრევზე ახვავებს შეუსვენებლად და ანგელოზს ფერხთით უნარცხებს. მას აკი სწადია, შეყოვნდეს, მკვდრები გააღვიძოს და დალენილი შეაკონინოს. მაგრამ სამოთხიდან გრიგალი მობერავს, რომელიც მის ფრთებში გახლართულა და ისეთი ძლიერია, რომ ანგელოზი მათ ველარ კეცავს. ეს გრიგალი ანგელოზს შეუჩერებლად მიერეკება მომავლისაკენ, რომლისთვისაც ზურგი შეუქცევია, ამ დროს კი მის წინაშე ნანგრევების გორა ცას სწვდება. რასაც ჩვენ წინსვლას ვუნოდებთ, ეს გრიგალია.

X

იმ საგნებს, რომელთაც სამონასტრო წესდება ძმებს მედიტაციისთვის განუმზადებდა, მათთვის წუთისოფლისა და მისი ფუსფუსის შეჯავრება ეკისრებოდათ. აზრთასვლა, რომელსაც აქ მივსდევთ, მსგავსი დანიშნულებიდან წარმოსდგა. იმ მეყში, როცა პოლიტიკოსები, ვინც ფაშიზმის მოწინააღმდეგეებს

ეიმედებოდათ, მიწასთან არიან გასწორებულები და თავიანთ მარცხს საკუთარი მისწრაფების ღალატითაც ამყარებენ, ამ აზრთასვლის განზრახვაა, ჩვენი პოლიტიკური დროის პირმშო¹¹ იმ ქსელიდან დაიხსნას, რომელშიც თავად გახლართეს. ასეთი განხილვისას იქიდან ამოვდივართ, რომ ამ პოლიტიკოსთა ჯიუტი რწმენა წინსვლისადმი, ნდობა თავიანთი „მასობრივი საყრდენისადმი“ და, ბოლოს, არაკონტროლირებადი აპარატის სამსახურში მონურად ჩადგომა, ერთი და იმავე რამის სამი მხარეა. ეს განხილვა ისწრაფვის, წარმოდგენა შეგვიქმნას იმის თაობაზე, თუ რა ძვირად უჯდება ჩვენს ჩვეულ აზროვნებას ისტორიის ისეთი გაგება, რომელიც ყოველგვარ თანამზრახველობას გაურბის იმგვარ გაგებასთან, რომელსაც ეს პოლიტიკოსები კვლავაც ებლაუჭებიან.

XI

კონფორმიზმი, რომელიც სოციალ-დემოკრატიაში ოდითგანვე შინაური იყო, არა მხოლოდ მის პოლიტიკურ ტაქტიკას, არამედ ეკონომიკაზე მის წარმოდგენებსაც აკერია. ის არის ერთ-ერთი მიზეზი მოგვიანო ჩამოშლისა. გერმანელი მშრომელობა არაფერს ისე არ გაურყვინა, როგორც მოსაზრებას, რომ სწორედ იგი ცურავდა დინების მიმართულებით. ტექნოლოგიური განვითარება წყლის ვარდნად მიაჩნდა, რომლის მხარდამხარ, თავისი ჭკუით, თვითონაც ცურავდა. აქედან ერთი ნაბიჯი იყო ილუზიამდე, თითქოს ქარხნული პრომა, რომელიც ვითომდა ტექნოლოგიური წინსვლის გზაზევე

¹¹ Das politische Weltkind (გერმ.). თავდაპირველად სიტყვას Weltkind მარტინ ლუთერი ხმარობდა მორწმუნეთაგან „ამა სოფლის შვილების“ გასამიჯნად. ბენიამინისვე ფრანგული შესატყვისია enfants du siècle ანუ „საუკუნის შვილები“.

იყო დატანებული, პოლიტიკურ მიღწევას განასახიერებდა. ძველი პროტესტანტული სამუშაო მორალი სეკულარიზებული სახით გერმანულ მშრომელებში აღდგა მკვდრეთით. გოთას პროგრამას უკვე ატყვია ამ აღრევის ნაკვალევები. იგი შრომას აცხადებს „წყაროდ ყოველი სიმდიდრისა და ყოველი კულტურის“.¹² მარქსმა, უკეთურება რომ ენიშნა, ამაზე მიუგო, რომ ადამიანი, რომელსაც არ გააჩნია სხვა არავითარი საკუთრება, გარდა თავისი სამუშაო ძალისა, „მონა უნდა იყოს სხვა ადამიანთა, რომელნიც ... მესაკუთრენი გახდნენ“.¹³ ამისდა განუკითხავად, გაურკვეველობა კიდევ უფრო მეტად იკიდებს ფეხს, და მალე იოზეფ დიცგენი კიდევაც იტყვის: „შრომაა უახლესი დროის მაცხოვრის სახელი ... შრომის ... გაუმჯობესებაში მდგომარეობს სიმდიდრე, რომელსაც ამერიდან იმის აღსრულება ძალუძს, რაც აქამდე ვერცერთმა მხსნელმა ვერ აღასრულა“. ეს ვულგარულ-მარქსისტული ცნება იმისა, თუ რა არის შრომა, დიდხანს არ ყოვნდება შეკითხვასთან, რა მოაქვს მშრომელთა ნაწარმს იმ პირობებში, როცა ისინი მას ვერ განაგებენ. დიცგენს მხოლოდ ბუნების დამორჩილებაში მიღწეული წინსვლების დანახვა ნებავს, საზოგადოების უკუსვლებისა კი – არა. მასში უკვე შეიმჩნევა ის ტექნოკრატიული ნაკვთები, რომელთაც მოგვიანებით ფაშიზმში შევხვდებით. მისი შემადგენელია ბუნების ისეთი ცნებაც, რომელიც ავის მომასწავებლად შორს დგას იმგვარი ცნებისგან, ფორმერცის¹⁴ სოციალისტურ უტოპიებს რომ ახასიათებდათ. შრომა, როგორც ის ამჟამად ესმით, ბუნების

¹² კარლ მარქსი, „გოთას პროგრამის კრიტიკა“, კ. მარქსი, ფრ. ენგელსი, *რჩეული ნაწერები ორ ტომად*, ტომი II, თბილისი, 1950, გვ. 10.

¹³ იქვე, გვ. 10-11. სრული ციტატა: „...რომელნიც შრომის ნივთიერი პირობების მესაკუთრენი გახდნენ.“

¹⁴ Vormärz (გერმ.) – სიტყვასიტყვით „მარტისწინა“. აღნიშნავს 1848 წლის მარტიდან 1849 წლის ივლისამდე „გერმანიის კავშირის“ სახელმწი-

ყველაზე დაიყვანება, რომელსაც გულუბრყვილო კმაყოფილებით პროლეტარიატის ყველგას უპირისპირებენ. ამ პოზიტივისტურ კონცეფციასთან შედარებით, ის ფანტაზიორობანი, რომლებიც თუნდაც ფურიეს აბუჩად ასაგდებად ეგოდენ მასალას იძლეოდა, თავიანთ განმაცვიფრებლად ჯანსაღ საზრისს ავლენენ. ფურიეს მიხედვით, ჯეროვნად მოწყობილი საზოგადოებრივი შრომის შედეგად ოთხ მთვარეს უნდა გაენათებინა მიწიური ღამე, ყინულს პოლუსებიდან უკან დაეხია, ზღვას სიმლაშე დაკარგვოდა და მხეცები ადამიანებს მსახურად დასდგომოდნენ. ეს ყოველივე ისეთი შრომის ილუსტრაციაა, რომელიც არათუ შორს დგას ბუნების ყველგისაგან, არამედ ძალაც შესწევს, იგი იმ ქმნილებებზე ამშობიაროს, რომელნიც შესაძლებელთა სახით მის საშოში თვლემენ. შრომის წამხდარი ცნების შემავსებელი ნაწილია ის ბუნება, რომელიც, დიცგენის თქმისა არ იყოს, „მუქთად გვეძლევა“.

XII

კი გვიდგას ისტორიის საჭიროება, მაგრამ სულ სხვანაირად, ვიდრე ცოდნის ბაღში მოსეირნე ნებიერ მოცალეს.

ნიცშე, ცხოვრებისათვის ისტორიის სარგებლისა და ზარალის შესახებ

ისტორიული შემეცნების სუბიექტი თავად მებრძოლი, ჩაგრული კლასია. მარქსთან იგი უკანასკნელ დამონებულ, შურისმაძიებელ კლასად წარმოსდგება, რომელიც გათავისუფლების საქმეს ძლეულთა თაობების სახელით განასრულებს. ამის

ფოებში მომხდარი რევოლუციების პოლიტიკურად და კულტურულად შემამზადებელ ოცნლეულს.

ცნობიერება, რომელმაც მცირე ხანს „სპარტაკშიც“¹⁵ იჩინა თავი, სოციალ-დემოკრატიას ოდითგანვე არ ეპიტნავებოდა. სამიოდე ათწლეულის განმავლობაში მან მოახერხა, თითქმის სრულად წაეშალა თუნდაც ბლანკის სახელი, რომლის მჭე-ქარე ხმამაც წინა საუკუნე შეაზანზარა. სოციალ-დემოკრატია კმაყოფილი იყო იმით, რომ მშრომელთა კლასს *მომავალ* თაობათა მხსნელის როლს სჩრიდა ხელში. ამით კი მის საუკეთესო ძალას მყესი გაუნყვიტა. ამგვარი მეცადინეობით ამ კლასმა ერთნაირად დაივიწყა რაც ესწავლა როგორც სიძულვილის, ისე მსხვერპლის გაღების მზაობის შესახებ. რამეთუ ორივეს დამონებულ წინაპართა ხატი კვებავს და არა – გათავისუფლებულ შვილიშვილთა იდეალი.

XIII

განა ჩვენი მისწრაფება დღითი დღე
უფრო მეტ სიცხადეს არ იძენს,
ხოლო ხალხი დღითი დღე უფრო არ ჭკვიანდება?
იოზეფ დიცგენი, სოციალ-დემოკრატიული ფილოსოფია

სოციალ-დემოკრატიის თეორიას, და კიდევ უფრო მეტად, მის პრაქტიკას, წინსვლის ისეთი ცნება განსაზღვრავდა, რომელიც სინამდვილეს კი არ ეყრდნობოდა, არამედ დოგმატურ მოთხოვნას აყენებდა. წინსვლა, როგორც ის სოციალ-დემოკრატთა ტვინებში იხატებოდა, პირველ ყოვლისა, თვით კაცობრიობის (და არა მხოლოდ მისი უნარებისა და ცოდნების) წინსვლა იყო. მეორეც, იგი დაუმთავრებადი იყო

¹⁵ იგულისხმება ე. წ. „სპარტაკის აჯანყება“ ანუ 1919 წლის იანვარში ბერლინში გამართული საყოველთაო გაფიცვა და შეიარაღებული შეტაკებები.

(კაცობრიობის რაღაც უსასრულო სრულყოფადობის შესატყვისი). და მესამეც, მიიჩნეოდა, რომ მას არსებითად ვერაფერი შეაჩერებდა (როგორც ნრფივ და სპირალისებრ გზაზე თვითმოდრავად მიმავალს). უკლებლივ ყველა ამ მახასიათებელთაგანი საკამათოა და კრიტიკაც ნებისმიერი მათგანით შეიძლება დაიწყოს. თუმცა, თუ კრიტიკა ძირისძირამდე მიჰყვა საქმეს, ის ყველა ამ მახასიათებელს უნდა გასცდეს და ისეთ რამეს მიემართოს, რაც მათთვის საერთოა. წარმოდგენა ისტორიის წიაღში კაცთა მოდგმის წინსვლაზე, ვერ განცალკევდება წარმოდგენისგან, რომ ისტორიის მსვლელობა რაღაც ჰომოგენურ და ცარიელ დროს გადის. ამგვარი მსვლელობის შესახებ წარმოდგენის კრიტიკა საძირკველი უნდა გახდეს ზოგადად წინსვლის შესახებ წარმოდგენის კრიტიკისა.

XIV

დასაბამია მიზანი.

კარლ კრაუსი, გალექსილი სიტყვები I

ისტორია იმგვარი კონსტრუქციის საგანია, რომლის ადგილსაც არა ჰომოგენური და ცარიელი, არამედ ანდროით¹⁶ ადვსილი დრო შეადგენს. მაგალითად, რობესპიერისთვის ანტიკური რომი ანდროით დახუნძლული წარსული იყო, რომელიც

¹⁶ გერმანულში ნახმარი Jetztzeit ზოგადად ნიშნავს „ახლანდელ დროს“, „თანამედროვეობას“, ბენიამინთან კი იგი თავისებურ დატვირთვას იძენს, რომლის მიხედვითაც გარკვეული ისტორიული მონაკვეთი „ცარიელი და ჰომოგენური დროის“ მდინარებასთან ერთად გარდამავალი ნეიტრალური წერტილი კი არ არის, არამედ ძალა შესწევს, თუნდაც მრავალსაუკუნოვანი ქრონოლოგიური დაშორების შემთხვევაში, ჩვენს ანმყოზე ზემოქმედებდეს, „აქტუალურობით“ იყოს დახუნძლული.

მან ისტორიის კონტინუუმიდან გამოამსხვრია (heraussprengte). საფრანგეთის რევოლუცია თავს კვლავმოვლენილ რომად აღიქვამდა. იგი ძველ რომს ისევე ციტირებდა, როგორც მოდა ციტირებს ძველი ყაიდის სამოსს. მოდა აქტუალობას იყნოსავს ყველაფერში, სადაც კი ეს უკანასკნელი ოდესღაც მომხდარის ულრანში მოძრაობს. მოდა გარდასულში გაკეთებული ვეფხვის ნახტომია. თუმცა, იგი მხოლოდ იმ არენაზე თამაშდება, რომელზეც ბრძანებებს გაბატონებული კლასი გასცემს. ისტორიის ღია ცის ქვეშ განხორციელებული იგივე ნახტომი ის დიალექტიკური ნახტომია, როგორადაც მარქსს რევოლუცია ესმოდა.

XV

იმის ცნობიერება, რომ ისტორიის კონტინუუმს ამსხვრევენ (aufsprengen), რევოლუციურ კლასებს თავიანთი მოქმედების მეშვეობით ახასიათებთ. დიდმა რევოლუციამ¹⁷ ახალი კალენდარი შემოიღო. დღე, რომლითაც ახალი კალენდარი იწყება, ისტორიული აჩქარებული კადრის (Zeitraffer) ფუნქციას ასრულებს. და, საბოლოო ჯამში, სადღესასწაულო დღეების სახით, რომლებიც ხსოვნის დღეებია, მუდამ იგივე დღე ბრუნდება. მაშასადამე, კალენდრები დროს საათებივით არ ითვლიან. ისინი მონუმენტებია ისტორიის ისეთი ცნობიერებისა, რომლის იოტისოდენა ნაკვალევიც კი, როგორც ჩანს, უკვე ასი წელია, რაც აღარ არსებობს ევროპაში. ივლისის რევოლუციის¹⁸ დროს ჯერ კიდევ ჰქონდა ადგილი შემთხვევას, რომელშიც ამ ცნობიერებამ თავისი გაიტანა. როდესაც

¹⁷ იგულისხმება საფრანგეთის 1789 წლის რევოლუცია.

¹⁸ იგულისხმება საფრანგეთის 1830 წლის რევოლუცია.

საბრძოლო დღის პირველი სადამო მოვიდა, გაირკვა, რომ პარიზში, მრავალ ადგილას, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად და ერთდროულად უსვრიათ კოშკურა საათებისთვის. ერთ თვითმხილველს, რომელიც თავის წინასწარმეტყველებას, შესაძლოა, რითმას უმაღლის, იმჟამად დაუნერია:

Qui le croirait ! on dit qu'irrités contre l'heure
De nouveaux Josués, au pied de chaque tour,
Tiraient sur les cadrans pour arrêter le jour.¹⁹

XVI

ისტორიული მატერიალისტი ვერ შეეღწევა ისეთი ანმცოს ცნებას, რომელიც გარდასვლა კი არ არის, არამედ, რომელშიც დრო ჩამოდგება და უძრაობას (Stillstand) მიაღწევს. რამეთუ, ეს ცნება განსაზღვრავს სწორედ იმ ანმცოს, რომელშიც ისტორიული მატერიალისტი საკუთარი თავის ანგარიშით წერს ისტორიას. ისტორიზმი წარსულის „მარადიულ“ ხატს იძლევა, ისტორიული მატერიალისტი კი – წარსულის ისეთ გამოცდილებას, რომელიც განუმეორებელია. იგი სხვებს ანებებს,

¹⁹ „ვინ დაიჯერებს! ამბობენ, საათზე ბრაზმორეული/მრავალი ახალი ისო, ყოველი კოშკის ძირას,/საათის ფირფიტებს ესროდა დღის შესაჩერებლად“. ციტატა ოგიუსტ ბართლემისა და ჟოზეფ მერის 1830 წლის პოემიდან *აჯანყება. პარიზელთათვის მიძღვნილი პოემა*. მოყვანილ პასაჟში პოეტები მიაწინებენ ძველი აღთქმის მიერ გადმოცემულ ამბავზე, რომელიც იესო (ისო) ნავეს ძის წიგნშია (10:12-13) მოცემული: „მაშინ ელაპარაკა იესო უფალს, იმ დღეს, როცა დაამარცხებინა უფალმა ისრაელიანებს ამორეველები, და თქვა ისრაელის გასაგონად: მზეო, დადექ გაბაონის თავზე, და, მთვარეო, აილონის ველზე! დადგა მზე და არ დაძრულა მთვარე, ვიდრე თავის მტრებს არ გაუსწორდა ხალხი (...). იდგა მზე შუაგულ ცაში და თითქმის მთელი დღე აყოვნებდა ჩასვლას.“

ისტორიზმის საროსკიპოში გაიხარჯონ მეძავთან სახელად „იყო და არა იყო რა“. იგი საკუთარი ძალების ბატონ-პატრონი რჩება: საკმარისად მამაცი, რათა ისტორიის კონტინუუმი დაამსხვრიოს.

XVII

ისტორიზმი სრულიად მართებულად გვირგვინდება უნივერსალურ ისტორიაში. მეთოდის მხრივ, მატერიალისტური ისტორიოგრაფია, სავარაუდოდ, არაფერს ისე მკაფიოდ არ ემიჯნება, როგორც მას. უნივერსალურ ისტორიას არ გააჩნია თეორიული არმატურა. მისი მიდგომა კრებსითია: იგი ფაქტების მასას ჰომოგენური და ცარიელი დროის შესავსებად რაზმავს. მატერიალისტურ ისტორიოგრაფიას კი, თავის მხრივ, საფუძვლად კონსტრუქციული პრინციპი უდევს. აზროვნებას მარტო აზრთა მოძრაობა კი არ ახასიათებს, არამედ მათი გაუძრავებაც (*Stillstellung*). სადაც აზროვნება დაძაბულობებით გაჯერებულ კონსტელაციაში უცაბედად შედგება, იქ მას ისეთ შოკს მართებს, რომლის მეშვეობითაც ის²⁰ მონადად დაკრისტალდება. ისტორიული მატერიალისტი რაიმე ისტორიულ საგანს მხოლოდ და მხოლოდ მაშინ ჰკიდებს ხელს, როცა იგი მონადად წარმოუდგება. ამ სტრუქტურაში იგი ხდომილების მესიანური გაუძრავების ნიშანს შეიცნობს,

²⁰ თეზისების სხვადასხვა ხელნაწერების შედარების შედეგად, კრიტიკული გამოცემის ავტორებმა ბენიამინის ნაწერში გაპარული აზრობრივი შეცდომა დაადგინეს. გერმანულში ნახმარი საშუალო სქესის ნაცვალსახელი *es* („ის“) არასწორად მიემართება საშუალო სქესის სახელს *das Denken* („აზროვნება“). სინამდვილეში *es*-ის ნაცვლად უნდა ეწეროს მდებრობით სქესის ნაცვალსახელი *sie*, რომელიც მიემართება მდებრობითი სქესისვე სახელს *Konstellation*.

სხვანაირად რომ ვთქვათ, ნიშანს რევოლუციური შანსისა დათრგუნული წარსულისათვის ბრძოლაში. იგი ამ შანსს იყენებს, რათა ისტორიის ჰომოგენური მსვლელობიდან ერთი განსაზღვრული ეპოქა გამოამსხვრიოს; ასევე გამოამსხვრევს ეპოქიდან ერთ განსაზღვრულ ცხოვრებას, მთელი ცხოვრების შემოქმედებიდან კი – ერთ განსაზღვრულ ნაწარმოებს. მისი მიდგომის მონაპოვარი იმაში მდგომარეობს, რომ ნაწარმოებშივე ნარჩუნდება და ინახება ცხოვრების შემოქმედება, ცხოვრების შემოქმედებაშივე – ეპოქა, ხოლო, ეპოქაშივე – მთელი ისტორიის მსვლელობა. ისტორიულად შემეცნებულის ყუათიანი ნაყოფის გულში დრო ძევს ძვირფას, თუმცა გემოს მოკლებულ თესლად.

XVIIa²¹

მარქსმა უკლასო საზოგადოების შესახებ წარმოდგენაში გაასეკულარულა მესიანური დროის შესახებ წარმოდგენა. და მით უკეთესი, ასე თუ ქნა. უბედურება მაშინ დაიწყო, სოციალ-დემოკრატიათა ეს წარმოდგენა „იდეალის“ ხარისხში რომ აიყვანა. ნეოკანტიანურ სწავლებაში იდეალი „უსასრულო ამოცანად“ განისაზღვრა. ეს სწავლება კი სოციალ-დემოკრატიული პარტიის სამაგიდო ფილოსოფიას წარმოადგენდა – შმიდტითა და შტადლერით დაწყებული, ვიდრე ნატორპამდე და ფორლენდერამდე. რაკილა უკლასო საზოგადოება უსასრულო ამოცანად განისაზღვრა, ცარიელი და ჰომოგენ-

²¹ ნინამდებარე თეზისი ტექსტის თავდაპირველ გამოცემულ ვარიანტს მოგვიანებით მიამატეს. ის ნაწილია იმ უამრავი ვარიანტის, ალტერნატიული და დამატებითი თეზისის, ფრაგმენტისა და დაკონსპექტებული ამონარიდისა, რომლებიც „ისტორიის ცნების შესახებ“ თეზისების სამუშაო ვერსიას შეადგენდა.

ნური დროც, ასე ვთქვათ, მოსაცდელ ოთახად გადაიქცა, რომელშიც მეტ-ნაკლები უდრტვინველობით შეგვეძლო რევოლუციური სიტუაციის დადგომას დავლოდებოდით. სინამდვილეში, არ არსებობს ერთი მეყიცი კი, საკუთარ რევოლუციურ შანსს რომ არ დაატარებდეს – მას, ერთადერთი, ის სჭირდება, რომ რაღაც სპეციფიკურ შანსად განისაზღვროს, სახელდობრ სრულიად ახალი ამოცანის მიერ ნაკარნახები სრულიად ახალი გამოსავლის შანსად. ნებისმიერი ისტორიული მეყისათვის საკუთრივი რევოლუციური შანსი რევოლუციურ მოაზროვნეს პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე უდასტურდება. მაგრამ ამ შანსს არანაკლებ უდასტურებს ამ მეყის ძალმოსილება, შეაღწევის (Schlüsselgewalt²²) ნარსულის ერთ განსაზღვრულ, აქამდე ჩარაზულ ოთახში. ამ ოთახში შებიჯება ზედმინევენით ემთხვევა პოლიტიკურ ქმედებას (Action); და სწორედ ამ შებიჯებითაა, რომ ეს ქმედება, რაგინდ დამანგრეველი გამოდგეს, თავს ამხელს როგორც მესიანური. უკლასო საზოგადოება არის არა ისტორიის წიაღში წინსვლის ბოლომიზანი, არამედ წინსვლის ასე ხშირად წარუმატებელი და ერთხელაც იქნა აღსრულებული შეწყვეტა.

XVIII

ერთი შედარებით თანამედროვე ბიოლოგის თქმით, „ის უბადრუკი ხუთი ათიათასწლეული, რაც ჰომო საპიენსმა გამოიარა, დედამინაზე ორგანული სიცოცხლის ისტორიასთან

²² ბენიამინის მიერ მოხმობილი Schlüsselgewalt (სიტყვასიტყვით „გასაღები ძალა“) ქრისტიანული თეოლოგიიდან მომდინარეობს და აღნიშნავს გასაღებს, რომელიც ღვთის სასუფეველში შეგვალწევინებს. ამ აზრით ეუბნება იესო პეტრეს: „და მიგცნე შენ კლიტენი სასუფეველისა ცათაჲსანი / მოგცემ შენ ცათა სასუფეველის გასაღებს“ (მათ. 16:19).

მიმართებით ისეთივე რამეს წარმოადგენს, რასაც ორი წამი ოცდაოთხსაათიანი დღის მიწურულს. ხოლო, ცივილიზებული კაცობრიობის ისტორია ამ მასშტაბის მიხედვით, უკანასკნელი საათის უკანასკნელი წამის ერთ მეხუთედს თუ შეავსებდა“. ანდრო, რომელიც, როგორც მოდელი მესიანური დროისა, არნახული აბრევიატურის ფარგლებში აჯამებს მთელი კაცობრიობის ისტორიას, ზედმინვენით ემთხვევა იმ ფიგურას, რომელსაც კაცობრიობის ისტორია უნივერსუმის წიაღში განასახიერებს.

«დანართი»

A

ისტორიზმისთვის ისიც საკმარისია, რომ ისტორიის სხვადასხვა მომენტს შორის მიზეზობრივი კავშირი დაადგინოს. მაგრამ ვერცერთი ფაქტობრივი მოცემულობა, მხოლოდ იმიტომ, რომ რაიმეს მიზეზია, ვერ იქნება იმთავითვე უკვე ისტორიული. იგი ასეთად მოგვიანებით (posthum) აქციეს მოვლენებმა, რომელთაც, ვინ იცის, ათასწლეულებითაც განეშორება. ისტორიკოსი, რომელიც ამ დაშვებიდან ამოდის, თავს მიაწვდის მოვლენათა თანმიმდევრობის – კრიალოსანივით – თითებს შუა მარცვლას. იგი სწვდება იმ კონსტელაციას, რომელშიც რომელიღაც სრულიად განსაზღვრულ ადრინდელ ეპოქასთან მისი საკუთარი ეპოქა შესულა. ამგვარად იგი აწმყოს ცნებას აფუძნებს როგორც „ანდროს“, რომელშიც მესიანური დროის ნამტვრევები შემომსხვრეულა.

B

უეჭველია, რომ გულთმისნებისთვის, დრო, როგორსაც ისინი განიცდიდნენ, როცა მას დაეკითხებოდნენ, თუ რას მალავდა

თავის საშოში, არც ჰომოგენური იყო და არც – ცარიელი. ვინც ამას გაითვალისწინებს, შესაძლოა, გაიგოს, თუ როგორ განიცდებოდა გარდასული დრო ხსოვნაში (Eingedenken): სწორედ რომ ამგვარად. როგორც ცნობილია, ებრაელებს ეკრძალებოდათ, მომავალს ჩაძიებოდნენ. სამაგიეროდ, თორა და ლოცვა მათ ხსოვნაში ავარჯიშებს. ხსოვნა მათთვის ჯადოს ხსნიდა მომავალს, რომლის კლანჭებშიაც ისინი ვარდებიან, ვინც საცნაურისთვის გულთმისანთ მიმართავენ. თუმცა ამის გამო ებრაელებს მომავალი სულაც არ ქცევიათ ჰომოგენურ და ცარიელ დროდ. რამეთუ, მასში თითოეული წამი ის ვინრო ბჭე იყო, საიდანაც, შესაძლოა, მესიას შემოებიჯებინა.